

**ბ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა  
და მემკვიდრეობის განვითარების სამინისტროს ბეჭედის**

**2010 წელს განხორციელებული სამინისტროს**

**ანგარიში**

**პრეამბულა**

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერებლი კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო–სააღრიცხვო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;

- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი;
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო მუშაობას წესდების შესაბამისად წარმართავს 2008 წლის ნოემბერში არჩეული სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. დიმიტრი თუმანიშვილი; თავმჯდომარის მოადგილე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მზია ჯანჯალია; სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქეთევან მიქელაძე. ცენტრის დირექტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარიამ დიდებულიძე.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურა:

სამეცნიერო ნაწილი – ორი განყოფილება: 1. ძველი ხელოვნების განყოფილება 2. ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილება;

არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი,

ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი.

ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია. ცენტრში მუშაობს 77 თანამშრომელი. მათ შორის 56 მეცნიერ თანამშრომელი, აქედან 7 მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 28 უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 19 მეცნიერი თანამშრომელი; ახალგაზრდა მეცნიერთა რაოდენობა შეადგენს 6-ს. 2010 წელს ცენტრში სტაჟირებას გადიოდა 7 ახალგაზრდა მეცნიერი.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული პარკის ცენტრში 2010 წელს განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობა:

## 1. სამეცნიერო კვლევა

- წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება;
- შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება;
- შუა საუკუნეების ქართული ქვისა და ლითონის ქანდაკება;
- შუა საუკუნეების ქათული კედლის მხატვრობა;
- შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათება;
- შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების იკონოგრაფია;
- პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა კორპუსები;
- ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორია;
- ახალი არქიტექტურის გავითარების ისტორია;
- ქართული სცენოგრაფია;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგია;
- საარქივო მასალების კვლევა.

კერძოდ, დამუშავდა შემდეგი თემები:

### 1.1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება

- სპილენძის დიადემები გუდაბერტყას ნამოსახლარიდან (მტკვარ-არაქსის კულტურა, შიდა ქართლი), (მ. გაბაშვილი) სოფ. გუდაბერტყასთან აღმოჩენილ საკულტო დანიშნულების მოედანზე გამოვლინდა ძვ. წ. IV-III ათასწლეულთა მიჯნის სპილენძის ორი დიადემა პუნქტით გამოყვანილი გეომეტრიული და ზოომორფული გამოსახულებებით. მხატვრული ფორმის, სტილისა და კონცეფციის მხრივ დიადემები დიდ მსგავსებას ავლენს ამავე პერიოდის ქაცხელას ნამოსახლარზე აღმოჩენილ დიადემასთან და აღმოსავლეთ ანატოლიაში არსლან-თეფეს ბორცვის არქეოლოგიურ კომპლექსის ორ დიადემასთან. ეს არტეფაქტები ერთ მხატვრულ ჯგუფს წარმოადგენს. ისინი საშუალებას გვაძლევს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ფართო არეალში საქართველოში არსებული სახვითი ტენდენციები განვიხილოთ არა ვიწრო ლოკალური დიაპაზონით, არამედ ფართო საექტრით;

- ურარტული სარტყელები საქართველოში (6. გომელაური);  
ნაშრომში განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ურარტული სარტყელების იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი. შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია მათი ურთიერთმიმართება ასურულ, ურარტულ და სკვითურ მასალასთან.

## 1.2. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება

- მშენებლობის ორგანიზაცია შუა საუკუნეების საქართველოში (დ. ხოშტარია)
 

ნაშრომში წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური და არქიტექტურული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოკვლეულია შუა საუკუნეების მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრე: სამშენებლო მასალის მოპოვება და დამუშავება, მშენებელთა იარაღები, სამშენებლო ხერხები, დაგეგმვა, მშენებლობის პროცესი, უსაფრთხოების ზომები და ინციდენტები. განხილულია ასევე სამშენებლო არტელების სტრუქტურა, შემადგენლობა, სპეციალიზაცია; მათი მნიშვნელობა არქიტექტურული ცოდნის დაგროვებასა და გადაცემაში.
- იკორთის ტაძარი (არიქტექტურა, ისტორია) /დაწყებული სამუშაოს გაგრძელება/, (თ. სანიკიძე)
 

ნაშრომში განხილულია იკორთის ტაძრის (1172 წ.) ისტორია. ახლებურადაა წაკითხული მისი სამშენებლო წარწერები; განხილულია კომპლექსის გენერალური გეგმა, ტაძრის გეგმარების თავისებურებანი, შინაგანი ფორმები და მათი ურთიერთმიმართება, განათების პრინციპი, გარე მასები, ფასადები – ცალ-ცალკე და მთლიანობაში; განსაზღვრულია ძეგლის გამორჩეული მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა; ნაჩვენებია, რომ ტაძარი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საეტაპო ნაგებობაა. გასაგები მიზეზების (ტაძარი მდებარეობს ქ. ცხინვალის რაიონში, სოფ. მეჯვრისხევთან) გამო ნაშრომში ვერ აისახა ძეგლის დღევანდელი მდგომარეობა.
- გვიანფეოდალური ხანის ქრისტაინული ხუროთმოძღვრების თავისებურება თხინვალას ეკლესიის მაგალითზე (ი. ელიზბარაშვილი)
 

ნაშრომი ეძღვნება ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და თავისი მხატვრული სახით სრულიად უჩვეულო ნიმუშს, თხინვალას დარბაზულ ეკლესიას. საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალის მოძიების და ეკლესიის ადგილზე შესწავლის საფუძველზე დაზუსტდა მისი თარიღი, საადმშენებლო ფენები, ეკლესია აიზომა. თხინვალას ეკლესიის მხატვრული სტილისტური ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ამ გვიანფეოდალური ხანის ნაგებობის სპეციფიური ნიშნები, რაც

ძირითადად ეკლესიის ინტერიერში საერო არქიტექტურის ელემენტების გამოყენებაში მდგომარეობს.

• **თბილისის ბეთლემის ეკლესია (დ. თუმანიშვილი)**

ბეთლემის ღმრთისმშობლის ("ფეხსაინად" წოდებული) ეკლესია ძველი კალას ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაგებობა, მთლიანად თბილისის ისტორიული ბირთვის ერთ-ერთი განმსაზღვრულ ხუროთმოძღვრულ მაცგილთაგანიცაა. ნარკვევის საგანი დღეს მდგომი ნაგებობის ხუროთმოძღვრებაა. მან აშკარად ცვლილება განიცადა XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის განმავლობაშიც. ტაძარი ორბურჯიანი "ჩაწერილი ჯვრის" ტიპის ნაგებობაა (დას. მკლავის გამყოფი წყვილი ბურჯები – XIX ს-ის დანამატი ჩანს), თუმცა დას. კუთხის სიკრცეები – როგორც ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დიდ ექსედრებადაა ქცევული. შეისრული თაღები, ტრომბისებრი ჩაღრმავებები აფრებში, სტალაქტიტისებრი ჩანაჭრები გუმბათქვეშა თაღების ძირში – გვიან შუა საუკუნეებზე მიგვანიშნებს. ამავე ეპოქას გვიჩვენებს ფასადთა დამუშავებაც. ყველა მონაცემით, ტაძარი XVIII ს-ის შუა ხანის არქიტექტურის, იმ დროის ქართული ხუროთმოძღვრების ნორმათა და მისწოდებათა გამომხატველი ნაგებობაა, რაც შეესაბამება პ. იოსევლიანის ცნობას მის შესახებ.

• **სვანეთის შევრილაფსიდიანი ეკლესიები (გ. პატაშური)**

ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება, ისევე როგორც სახვითი ხელოვნება საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო კავშირში იყო დანარჩენი საქართველოს კულტურულ ცხოვრებასთან და მუდამ ნაზიარები იქ წარმოჩენილ სიახლეების. თუმცა, სვანი ხუროთმოძღვრები ცდილობდნენ თავისებურად გაეაზრებინათ ესა თუ ის მოტივი. ძირითადი განმასხვავება ბარის ხუროთმოძღვრებისგან ფასადების გაფორმება და კედლის წყობაა (სწორ ხაზზე დალაგებული სვანური შირიმის ერთი ზომის კარგად დაჭრილი კვადრები, მთელ რიგ შემთხვევებში თავისებურადაა გადაწყვეტილი ფასადის თაღნარი და მათი პილასტრ-ლილვის სისტემა). სვანეთში გამორჩეული, ადგილობრივი "ხუროთმოძღვრული სკოლა" (ისევე როგორც მონუმენტური მხატვრობის, ხატწერისა და ჭედურობის შემთხვევაში) არსებობდა. თუმცა ამ "სკოლაშიც" საგრძნობლად განსხვავებული მიდგომებია დეტალებისა თუ ტაძრის საერთო მხატვრული სახის მხრივ.

• **ჰუჯაბის სამონასტრო ქომპლექსის აღგილმდებარეობის საკითხისათვის (ქ. აბაშიძე-დადიანი)**

ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები: ჰუჯაბის მონასტრის სატაძრო ნაგებობის ფერადოვანი-მხატვრული სახის თავისთავადობა და მისი მიმართება თანადროულ და ზოგადად, ქართული ხუროთმოძღვრებასთან; როგორ ეწერება ტაძრის ეს თვისება რეგიონალურ ხუროთმოძღვრებაში, რა ადგილს იკავებს ჰუჯაბი თანადროულ ტაძართა შორის და ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში; მნიშვნელოვანია სამონასტრო კომპლექსის

ადგილმდებარეობის საკითხიც. ადგილი დიდი სამონასტრო კომპლექსისა და მთავარი ტაძრის წარმოშობის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზოაგანია. საკითხი ეხება ისტორიული გზის, „მგლის კარის“ უდელტეხილის მნიშვნელობას პუჯაბის მონასტრისა და ტაძრის უშუალო სიახლოების არსებობას, ერთის მხრივ, გასასვლელი ტაშირისკენ, და აქედან, ანისისაკენ; სხვა მხრივ, კი ისტორიული ლორესკენ.

- **შუა საუკუნეების ქართველ ოსტატთა სამშენებლო ტექნიკა (ნ. ნაცვლიშვილი)**

ნაშრომში განხილულია შუა საუკუნეების ქართველ ოსტატთა სამშენებლო ტექნიკა და მათ მიერ ეკლესიის იატაკის, გადახურვისა და ფასადების მოსაპირკეთებლად გამოყენებული მასალები. დიდი ადგილი ეთმობა სამშენებლო კერამიკას – კრამიტს, აგურსა და შორენკაუცებს. ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით აღწერილია მათი დამზადებისა და მოხმარების წესები. განხილულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი გამოსაწვავი ქურები. ქვეთავებადაა წარმოდგენილია კრამიტით, ლორფინითა და ყავარით დაბურული ეკლესიები. მოსაპირკეთებელი მასალებიდან განხილულია მოჭიქვლი შორენკაუცები, რომელსაც ეკლესიათა ფასადების გასაფორმებლად იყენებდნენ.

### 1.3. შუა საუკუნეების ქართული ქვისა და ლითონის ქანდაკება

- **ხარაგაულის რაიონის სოფ. ჩრდილის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ფრაგმენტები მესვეტეთა და მეუდაბნოეთა გამოსახულებებით (ო. ხუნდაძე)**

სოფ. ჩრდილის წმ. გიორგის დანგრეულ ეკლესიაში აღმოჩენილი კანკელის ფრაგმენტების რელიეფურ გამოსახულებათა იკონგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა კანკელის შესრულების სავარაუდო თარიღი (X-XIს. მიჯნა) და შესრულდა კანკელის სავარაუდო რეკონსტრუქცია.

- **თეკენების „შველის“ ეკლესიის საფასადო სკულპტურა (ე. კვაჭატაძე)** თეკენების „შველის“ დარბაზული ეკლესია სომხეური წარწერის მიხედვით 1688 წლით თარიღდება. ეკლესიის მონოფიზიტურობის მიუხედავად, როგორც მის ხუროთმოძღვრულ დეტალებში, ისე ფიგურულ რელიეფებში საქართველოს ამ რეგიონის ეპოქისმიერი სტილი და დამახასიათებელი დეკორატიული ელემენტებია გამჟღავნებული.

- **შუა საუკუნეების საოქრომჭედლო სახელოსნოები (თემაზე მუშაობა განხსახლებულია 2010-2012 წწ.) (ლ. ხუსკივაძე, თ. საყვარელიძე)**

ნაშრომში განხილულია XVII ს-ის სამეგრელოს მთავრის, ლევან II დადიანის კარის საოქრომჭედლო სახელოსნო. იგი შუა საუკუნეების სახელოსნოებს მორის ერთადერთია, რომელიც წერილობითაა

დამოწმებული. კათოლიკე მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, აქ ათი წლის განმავლობაში ოცხე მეტი ოქრომჭედელი მუშაობდა. თუმცა ამ სახელოსნოს არსებობა დროის უფრო დიდ მონაკვეთს უნდა მოიცავდეს. ხატების წარწერებიდან ცნობილია ზოგიერთი ოსტატის სახელი (ფარემუზ ელბეგიძე, სეხნია გირგოლაძე, ბეჟია ტყავძეულიძე), ირკვევა ისიც, რომ დადიანისეულ სახელოსნოს წარწერების სპეციალური შემსრულებელნიც პყოლია. სახელოსნოში შემუშავებული კონცეპცია ზოგადად დროისათვის დამახასიათებელ სტილს მისდევს, მაგრამ მას ოვისი ხელწერაც გააჩნია და ლითონის ფუძეზე ფერწერული სახეების დატანების ორიგინალური ტექნიკაც. დადიანისეული სახელოსნოს განსაკუთრებული დამსახურება კი ისაა, რომ გვიანფერდალური ხელოვნების პირობებში, როდესაც გაძლიერდა სპარსული გავლენები, მან შესძლო შეენარჩუნებინა ქართული ჭედურობის საუკუთხესო ტრადიციები.

#### **1.4. შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა**

- **დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მცირე ქვაბთა მოხატულობანი (მ. ბულია)**  
ნათლისმცემლის მონასტრის მცირე ქვაბთა მოხატულობებისგან ზოგი შესწავლილია (იოანე მამასახლისის ეკლესია), დიდი წილი კი დღემდე არ გამხდარა მეცნიერთა კვლევის საგანი. კვლევისას გაირკვა ქვაბთა უმრავლესობის ფუნქცია. შემორჩენილია – მცირე ეკლესიები (იოანე მამასახლისის ეკლესია; ვედრებიანი ქვაბი), სამარტომყოფელოები (სამართომყოფელო წერაქვიანი ბერის გამოსახულებით); უაფსიდო მოხატული ქვაბის ფუნქციის დადგენა დაბეჯითებით ვერ მოხერხდა (სავარაუდოდ, სამარტომყოფელოა); მოხატულობათა იკონგრაფიული პროგრამების შესაწავლის საფუძველზე დადგინდა მათი კავშირი გარეჯის სხვა მონასტერთა მსგავსი დანიშნულების სათავსთა მოხატულობებთან (სამარტომყოფელო წერაქვიანი ბერის გამოსახულებით; უაფსიდო ქვაბი ღმრთისმშობლისა და მეომართა გამოსახულებებით); სტილური ანალიზის საფუძველზე მოხატულობები დათარიდდა (სამლოცველო ვედრების გამოსახულებით – XI-XII სს-თა მიჯნა; უაფსიდო ქვაბი ღმრთისმშობლისა და მეომართა გამოსახულებებით – XIII ს-ის II ნახ.). გაიმიჯნა და დათარიდდა ერთი ანსამბლის მოხატულობათა სხვადასხვა ფენა (სამართომყოფელო წერაქვიანი ბერის გამოსახულებით XIII ს-ის დასაწ., XIII ს-ის ბოლო–XIV ს-ის დასაწ.).

- **ისტორიული პორტრეტი XIII-XIV სს. კედლის მხატვრობაში (ქ. მიქელაძე)**

ნაშრომში განხილულია XIII-XIV საუკუნეთა ისტორიული პორტრეტის ერთი ჯგუფი, კერძოდ სამცხის ათაბაგთა, ჯაყელთა პორტრეტები საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძარსა და მიძინების ეკლესიაში, ჭულეს

წმ. გიორგის ეკლესიასა და ზარზმაში. აგრეთვე ლასურისძეთა პორტრეტები საფარის მონასტრის სამრეკლოში. თითოეულ ძეგლი ცალკე ქვეთავშია განხილული. იქონოგრაფიული და სტილური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ჯაყელთა პორტრეტებისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

• ჭულეს წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა (მ. ჯანჯალია)

კვლევა ჭულეს წმ. გიორგის ტაძრის მხატვრობის სარესტავრაციო სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა და ამ სამუშაოების შედეგად გამოვლენილ ახალ მონაცემებს ითვალისწინებს. ჩრდ. ბურჯზე ნაკლულ-დაზიანებული ფრესკული წარწერაა, რომლის წაკითხვასაც ეფუძნება ტაძრის მხატვრობისა და ხუროთმოძღვრების დაფიქტური თარიღი - 1381 წელი. კვლევის შედეგად გამოვლინდა მოხატულობის 2 ფენა. ტაძრის გუმბათის სფეროში, სარკმელთა წირთხლებისა და გუმბათქვეშა თაღების ნაწილზე და დას. კედლის ზედა მონაკვეთზე მხატვრობის ქვედა ფენა აღმოჩნდა; იგივე ფენა დაზიანებული მცირე ფრაგმენტების სახით, არსებითად, მთელ ინტერიერშია გამოვლენილი. მხატვრობის ამ, პირველი ფენის თარიღი სავარაუდოდ XIII ს-ით განისაზღვრა; მოხატულობის ზედა, ჯაყელთა პორტრეტების შემცველი ფენის თარიღი კი ისტორიული მონაცემების დამატებითი შესწავლის შედეგად დაზუსტდა (უეჭველად განსაზღვრული მისი ზედა ზღვარია - 1308, ბექა ჯაყელის გარდაცველების დღესმიდებული თარიღი). დადგა ჭულეს მოხატულობის მხატვრული სახის ინტერპრეტაციისა და ქართულ თუ ბიზანტიურ მხატვრობასთან მისი მიმართების საკითხები, რაც შეუასუკუნების ქართული სახვითი ხელოვნებისა და კულტურის ეპოქისეული თუ რეგიონული თავისებურებების შემდგომი შესწავლისათვის იქნება საყურადღებო.

• ხობის ტაძარი და მისი სხვადასხვა დროის მოხატულობანი (ი. ხუსკივაძე)

ხობის ტაძრის სხვადასხვა დროის (XIII ს-ის დას. - XVIII ს-მდე), სკოლებისა და განსწავლის ოსტატთა მიერ შექმნილი მოხატულობა იმჟამინდელ მხატვრულ მისწრაფებებთან ერთად, ნათლად წარმოგვიდგენს როგორც სანიმუშო მასალისადმი დამოკიდებულებას, ისე შესრულების მანერის თავისებურებას. მოხატულობათა ეტაპობრივება განხილვამ გვიჩვენა რაგვარად აირეკლება მოსესხებულ კანონიკურ სქემებთან შედარებით ის განსხვავებული, ოსტატისმიერი თავისებურებანი, რომლებიც ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებს შეგვახსენებს. ამგვარი სწრაფვა განსაკუთრებით ტაძრის შენების თანადროული (XIII ს-ის დასაწყისი) მოხატულობის ფრაგმენტში (ცენტრალური ნაგის სამხ. კამარა) ჩანს. იგივე თუმც განსხვავებული სახით ეხება დას. კედლის XVI ს-ის მხატვრობასაც, რომელიც ძირითადად იმჟამინდელი ე.წ. ოფიციალურ ძეგლთა რიგშია მოქცეული, მაგრამ ხალხური შემოქმედებითი აზროვნებისთვის დამახასიათებელ ნიშნებსაც ამჟღავნებს. ტაძარში სამი სხვადასხვა დროის ე.წ. პალეოლითური სტილის მხატვრობაცაა

შემორჩენილი – შერგილ დადიანის ეგვტერში (XIII-XIV სს. მიჯნა), ვამეყ დადიანის ეგვტერში (XIV ს. ბოლო); ხოლო XVII ს-ის 40-იანი წელის ნიკიფორე ჩოლოფაშვილის მიერ მოწვეული ოსტატების ნახელავი პალეოლითური სტილის პოსტიზანტიურ გასქემატურებულ ნაირსახეობას გვთავაზობენ.

- **"პალეოლითური სტილის" დამკვიდრება-გადამუშავების თავისებურებანი ზემო სვანეთის კედლის მხატვრობაში** (მ. ყენია)  
კვლევამ დაადასტურა, რომ სვანეთის „პალეოლითური სტილის“ (XIII-XIV სს-თა მიჯნა – XIV-XV სს-თა მიჯნა) მოხატულობებს შორის რამდენიმე ჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი: 1. ვენაშის (ძირითადი ფენა, XIII-XIV სს-თა მიჯნა [ძველის მიღებებით ერთიანად გადაწერილი გვიანა ხანაში]; ლაღამის მაცხოვარი (ზედა ეკლესია, ინტერიერი და ფასადები XIV ს-ის შუა ხანა); ფარის სვიფის ჯგრაგი (XIV ს-ის მიწურული). 2. მხერი (XIV ს-ის შუა ხანა); ლაშტოხერის თარინგზელი (საკურთხევები: XIV ს-ის შუახანა, დარბაზი და ფასადები – XIV-XV სს-თა მიჯნა). 3. ღეშტერის კაიშე-თარგლეზერი (XIV ს-ის II ნახ.). მოხატულობათა ანალიზი ცხადყოფს ახალი სტილის მეტად თავისებური სახით დამკვიდრება-განვითარებას სვანეთში. იკვეთება ორი უარსებითესი მიღგომა, რომელიც საზიაროა განსხვავებული მოხატულობებისთვის და განაპირობებს ადგილობრივ ნიადაგზე ახალი სტილის გადამუშავების თავისებურებებს; ესაა: ა. ერთგვარი “ნოსტალგიური” უკანმიქცევა წინარე საუკუნეთა გამოცდილებისკენ – ოსტატები ცდილობენ შეინარჩუნონ ძველი არქიტექტონიკური სისტემა; ბ. ახალი სტილის სხვადასხვა მახასიათებელთა არაერთგვაროვნად, განსხვავებული ოდენობით შემოტანა ყოველ ცალკეულ მოხატულობაში.
- **იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა** (დაწყებული სამუშაოს გაგრძელება, თემა გარდამავალია), (ე. გედევანიშვილი)  
2010 წელს შესრულდა იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობის ფოტო-ფიქსაცია, მხატვრობის აღწერა და იკონოგრაფიული ანალიზი. დაწყებულია მოხატულობის მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებათა კვლევა.
- **გვიანი შუა საუკუნეების გუმბათის დეკორატიული სისტემა** (სვეტიცხოველი, სამთავრო, წილკანი, ნიკორწმინდა). თემაზე მუშაობა განხსაზღვრულია 2010-2011 წწ. (ი. მამაიაშვილი)  
2010 წელს შესრულდა სვეტიცხოვლის, სამთავროს, წილკნისა და ნიკორწმინდის ეკლესიათა გუმბათების მოხატულობის აღწერა; დამუშავდა თემასთან დაკავშირებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა.

## 1.5. შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათება

- ქართული საეკლესიო გრაგნილების მხატვრული გაფორმება (ე. ედიშერაშვილი)

მხატვრობით შემცირებული საეკლესიო გრაგნილების ქრონოლოგიური საზღვრები XII-XVIII საუკუნეებში ექცევა. უმრავლესი მათგანი XIV-XV საუკუნეებს მიეკუთვნება. ნიმუშების უმეტესობა წარმოადგენს კონდაკებსა და უამისწირვებს. საეკლესიო გრაგნილების მხატვრული გაფორმება საინტერესო სურათს იძლევა სტილის თვალსაზრისით. მათი მოხატულობა თანადროული სახვითი ხელოვნების – ხელნაწერი წიგნისა თუ კედლის მხატვრობის ტენდენციების პარალელურად ვითარდება. თუ XII საუკუნის გრაგნილები ე. წ. კლასიკური ხანის მხატვრული ტენდენციების თანაზიარია, XV-XVI საუკუნეებში ვხედავთ ე. წ. ხალხური ნაკადის ნიშნების მატარებელ ნიმუშებსაც, ხოლო XVII-XVIII საუკუნეთა ხელნაწერები კი იმ პერიოდში ქართულ სახვით ხელოვნებაში მომდლავრებული აღმოსავლური თუ დასავლურ-რუსული გავლენის მატარებელნი არიან.

## 1.6. შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების იკონოგრაფია

- აგარა ურაველის მოხატულობა (ა. ოქროპირიძე)

ნაშრომი განიხილავს ურაველის აგარის (X ს.) ეკლესიის საკურთხეველში დაცულ ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართულ მონუმენტური მხატვრობის ისტორიის ზოგადი სურათის წარმოჩენისათვის. მასალა განხილულია შეძლებისდაგვარად მრავალმხრივ და ფართო კონტექსტით. მოხატულობა სავარაუდოდ – X საუკუნის მეორე ნახევარით თარიღება.

- ღმრთისმშობლის თემა ქართულ ჭედურობაში (კ. მაჩაბელი)

ნაშრომში განხილულია ღმრთისმშობლის წმინდა სახე X-XI საუკუნეების ვერცხლის ჭედური ხატებზე და საღმრთოსმსახურო ნივთებზე. ღმრთისმშობლის სხვადასხვა იკონოგრაფიული ტიპები შეჯერებულია თანადროულ ბიზანტიურ ხელოვნებაში გავრცელებულ სახეებთან. შედარებითი იკონოგრაფიულ-სტილური ანალიზის შედეგად დადგენილია საქართველოში ღმრთისმშობლის ხატის მხატვრული თავისებურებები. ქართველ ოსტატთა მიერ შექმნილი დედალვოთისას სახეები განსაკუთრებულ თავისთავადობას ავლენს და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია მათი მიკუთვნება რომელიმე ცნობილი ბიზანტიური იკონოგრაფიული ტიპისადმი. ღმრთისმშობლის ქართული ჭედური ხატების სახეები მნიშვნელოვნად ავსებს ქრისტიანული იკონოგრაფიის ამ დიდ თემას. ნაშრომი ღმრთისმშობლის სახისადმი მიძღვნილი დიდი გამოკვლევის ნაწილია, რომელმაც უნდა მოიცვას უფრო ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონი და ქართული სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგი.

## 1.7. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება

- წმინდა ხატების თაყვანისცემის ვიზუალური ტრადიცია შუა საუკუნეების საქართველოში (ნ. ჭიჭინაძე)

საკუთრივ ხატწერის ქმნილებების გარდა ხატების ისტორიის აღდგენისათვის მნიშვნელოვანი პირვეწყაროა მათი გამოსახულებები ქრისიტანული ხელოვნების სხვა დარგებში (მაგ. მინიატურულ და კედლის მხატვრობაში). ხატების გამოსახულებები ბიზანტიურ კედლის მხატვრობასა და ხელნაწერთა ილუსტრაციებში კარგადაა ცნობილი. ეს ტრადიცია უწინარეს ყოვლისა ხატების მნიშვნელობაზე, მათ განსაკუთრებულობაზე მეტყველებს. ქართულმა კედლის მხატვრობამ შემოგვინახა თავისებური გამოსახულებები - ხატების ფრესკული იმიტაციები, რომლებიც გვხვდება როგორც ეკლესიათა ინტერიერებში, ისე ფასადებზე. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა გარემოებითა და მოტივაციით იყო გაპირობებული ხატების გამოსახვა შუა საუკუნეების საეკლესიო კედლის მხატვრობაში, რა სიმბოლური საზრისი და რიტუალური ფუნქცია ჰქონდათ მათ.

## 1.8. ხელოვნების ნაწარმოებთა კორპუსები

- ზემო სვანეთში დაცული შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლთა კორპუსი (მთავარანგელოზთა ხატები), დაწყებული სამუშაოს გაგრძელება (რ. ყენია)

განხორციელდა მესტიის მუზეუმში დაცული მთავარანგელოზთა ჭედური ხატების კლასიფიკაცია, აღწერა დამხატვრულ-იკონოგრაფიული ანალიზი.

## 1.9. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორია

- ნიკო ფიროსმანი და მისი ოოლი ახალი ქართული ფერწერის ჩამოყალიბებაში (გ. ხოშტარია)

ნაშრომში წარმოდგენილია უახლესი დროის სოციო-კულტურული დახასიათება, როგორც მოდერნიზმის ზოგადი საფუძველი. გამოკვეთილია უახლესი დროის სპეციფიკა საქართველოში - ქართული ტიპოლოგია, მისი სახე და მადეტერმინირებული ფაქტორები. ქართული კულტურის და მხატვრობის მიმართება ევროპულ ხელოვნებასთან, ახალ და უახლეს დროში. 6. ფიროსმანაშვილის შემოქმედების ისტორიული ლოგიკა, მხატვრული მეთოდი, მხატვრული წყობის სპეციფიკა და მისი მიმართება XX საუკუნის ქართულ მხატვრობასთან.

• პირველი პროფესიონალი ფერმწერები /თემა გარდამავალია/ (დ. ლებანიძე)

ამ ეტაპზე შესრულდა კვლევისთვის აუცილებელი წინასწარი სამუშაოები: დამუშავდა პერიოდული გამოცემები; შედგა ბიბლიოგრაფია; მოძიებულ იქნა მხატვართა ნამუშევრების ადგილმდებარეობა (მუზეუმებში, კერძო კოლექციებში). კვლევა ძირითადად ფერმწერ ალექსანდრე მრევლიშვილის შემოქმედებას დაეთმო, რომელიც თანამედროვე ქართული პროფესიული ფერწერის ისტორიის სათავეებთან დგას. მისი შემოქმედება არ გამოირჩევა რთული პრობლემებითა და ფორმების საგანგებო ძიებებით, მაგრამ ა. მრევლიშვილმა თავისი წვლილი მაინც შეიტანა თანამედროვე ქართული ხელოვნების ჩამოყალიბების საქმეში.

• თბილისური სკოლა (მ. ციციშვილი)

XIX ს-ის ქართული პორტრეტული მინიატურა წარმოადგენს „ტფილისური პორტრეტული მხატვრობის“ ნაწილს, მაგრამ იგი სრულიად უცნობია და აქამდე არაა გამოკვლეული. ამჟამად მომზადდა სამოცი პორტრეტის პასპორტი. ყველა ნიმუში შექმნილია XIX ს-ის მანძილზე. ამ პორტრეტების უმეტესობა შესრულებულია ქაღალდზე ან მუჟაოზე ფანქრით, ტუშით და აკვარელით. პორტრეტების შედარებით მცირე ნაწილი (დაახლოებით 15-20 ნიმუში) ფაიფურის გულსაკიდ მედალიონებს წარმოადგენენ, რითაც კიდევ უფრო მეტადაა გამოკვეთილი მათი მემორიალური ხასიათი თუ დანიშნულება. ყველა პორტრეტი შესრულებულია „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ კანონების დაცვით.

• ექსპრესიონისტული ტენდენციები ქართულ მხატვრობაში /თემა გარდამავალია/ (ც. კილაძე)

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს ქართული მოდერნისტული მხატვრობისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები და თვითმყოფადობა და მისი მიმართება ევროპული მხატვრობის ტენდენციებთან. ამ ეტაპზე, ნაშრომში განიხილულია შ. ქიქოძის ავტოპორტრეტები თანადროული ქართული და ევროპული მხატვრობის კონტექსტში.

• ქართული გამოყენებითი გრაფიკის საფუძვლები (მ. გაჩეჩილაძე)

ნაშრომში ქართული ბეჭდური წიგნის განვითარების საწყისი ეტაპია მიმოხილული. საქართველოში გრაფიკის ხელოვნება, როგორც სახვითი ხელოვნების დარგი XX ს-ში ყალიბდება, თუმცა მისი აქტიური დასაწყისი (გამოყენებითი გრაფიკის სახით) XIX ს-ის ბოლოდან ფიქსირდება. გამოყენებითი გრაფიკის ჩანასახად შესაძლოა 1629 წ-ს რომში გამოცემული პირველი ქართული ბეჭდური წიგნები მივიჩნიოთ. XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დას.-ში ქართული წიგნის თანამდევ ელემენტად ჩნდება სუპერ-ექსლიბრისი, ხოლო XIX ს-ის ბოლოს –

„კლასიკური“ ექსლიბრისიც გვხვდება. XIX ს-ის II ნახევრიდან გამოყენებით გრაფიკას სათეატრო წარმოდგენებისთვის შესრულებული აფიშებიც ემატება; თბილისის სტამბებში იბეჭდება დია ბარათები, ვითარდება საუკრნალო-საგაზეთო მხატვრობაც. ქართული პირველნაბეჭდი წიგნები უფრო უვროპულ და რუსულ გამოცემებს ემსგავსება, XIX ს-ის II ნახევრიდან კი მატულობს ეროვნული ნიშნები.

- **XX ს-ის დასაწყისის ქართული დაზგური გრაფიკა /თემა გარდამავალია/ (მ. მემარიაშვილი)**

2010 წელს დამუშავდა თემის ერთ-ერთი ნაწილი: „თბილისის ხედები ქართველი მხატვრების გრაფიკაში“. მომზადდა მასალა დ. ქაპაბაძის, დ. გველესიანის, ვ. ბებუთოვა-გაბუნიას, გ. კვესისა და ნ. ჩერნიშვილის შემოქმედებიდან. გადაღებულია ფოტოები; მომზადდა ნამუშევრების მოკლე ანოტაციები და აღწერა; შედგენილია მხატვრების მოკლე ბიოგრაფიები.

- **ფუტურისტული მიმართულება ქართულ მხატვრობაში (მ. ჩიხრაძე)**

ნაშრომი შეისწავლის თანამედროვე ხელოვნების ფუტურისტულ მიმდინრეობას და მის ჩამოყალიბება-განვითარებას საქართველოში. ფუტურიზმი განიხილება, როგორც ავანგარდის გამოვლინება ქართულ მხატვრულ რეალობაში. შესწავლილია საქართველოში ფუტურიზმის ფუძემდებლების ილია და კირილე ზდანევიჩის შემოქმედება და მათი წვლილი ფუტურისტულ მიმდინარეობაში თბილისური ავანგარდის ფარგლებში. განსაკუთრებითაა გამოვკვეთილი ორგანიზაცია "41 გრაფუსის" საქმიანობა და მის მიერ დაბეჭდილი ფუტურისტული წიგნები. განიხილულია აგრეთვე დადაიზმის ჩანასახები ილია ზდანევიჩის მიერ 1917-1920 წწ.-ებში გაფორმებულ და შექმნილ ბროშურებში. ნაშრომი განხილულია ფუტურიზმი მხატვრობაში, კერძოდ, ი. გამრეკელის, ბ. გორდეზიანის, კ. ზდანევიჩის და სხვათა შემოქმედებაში. ცალკეა შესწავლილი ფუტურისტულ/დადაიზტურ ჟურნალი H2SO4. ნაშრომის მიზანია განიხილოს ფუტურისტული მიმართულება ქართულ ხელოვნებაში და მისი როლი თბილისური ავანგარდის განვითარებაში.

- **მოდერნი ქართულ ხელოვნებაში /თემა გარდამავალია/ (ნ. ყიფიანი)**

ნაშრომი იკვლევს 1910-1920-იანი წლების ქართული მოდერნიზმის თავისებურებას, ეყრდნობა რა მხატვართა შემოქმედების, უფრო კი მათ ცალკეულ, ყველაზე მნიშვნელოვან მხატვრულ ნაწარმოებთა ანალიზს, იმ პერიოდის პუბლიკაციებს და მწერლებისა და პოეტების ნააზრებს. ნაშრომი მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად გამოავლინოს ის მსოფლიმებელებითი საძირკველი, რომელიც განაპირობებს ქართული მოდერნიზმის აღნიშნულ თავისებურებას, რომლის მატარებელიც ის აშკარად არის, მოიაზროს თუ როგორ აღიქვამს სამყაროს ქართული მოდერნიზმი, რა დამოკიდებულება აქვს მას საკუთარ თანამედროვეობასთან და საკუთარ წარსულთან, მხატვრული

შემოქმედების რა პრინციპებს ამკვიდრებს ის, რითი ერთიანდება ის მოდერნისტულ ეპოქასთან და რითი განსხვავდება იგი ამ ეპოქისგანვე.

• **ქართული ქანდაკება 1930-1950-იან წლებში /თემა გარდამავალია/ (ნ. მირცხვლაგა)**

საკითხის შესწავლისთვის ახალი მეთოდია შემუშავებული. იმის გამო, რომ ქართული ხელოვნების იდეოლოგიურ მიმართულებას მხოლოდ სოც. რეალიზმის მსატვრული მეთოდი განსაზღვრავდა, სრული ობიექტური სურათის წარმოდგენა შეუძლებელია მასალის ხელახალი შესწავლისა და გადააზრების გარეშე. დღემდე ამგვარი კუთხით კვლევა არ განხორციელებულა, რადგან ქართული საბჭოთა ხელოვნების შესახებ არსებული ფრაგმენტარული კვლევები ამ საკითხის წინ წამოწვევას არ ისახავდა მიზნად. სოცრეალიზმია ახალი პრობლემის წინაშე დააყენა ხელოვნების ყველა უანრი. ტრადიციული ნიშნების რღვევით დაიწყო მათი ახალი სახეობების ფორმირება, ახალი ფუნქცია მიენიჭა ქანდაკებას. ეპოქის სიმბოლოდ ქცეულმა გრანდიოზულმა მონუმენტებმა, რომლებიც „სოციალისტური კლასიციზმის“ ანუ „სტალინის ამპირის“ „სავტორო“ არქიტექტურის საშუალებით შექმნა ახალი საკრალური სივრცე, დიდი როლი ითამაშა განსაკუთრებული სიმბოლიკის მქონე ძველი სივრცის დომინანტების შეცვლაში. ამ პერიოდში მოღვაწე მოქანდაკეების და ქართულ ქანდაკებაში მიმდინარე პროცესების შესახებ სათანადო მასალები მოძიებული იქნა: არქივებში; ასევე დამუშავდა პერიოდულ გამოცემებში გაბნეული ცნობები, ფოტო და დოკუმენტური მასალა.

• **საქართველოში მოღვაწე უცხოელი მსატვრები /თემა გარდამავალია/ (ნ. ჭოდოშვილი)**

2010 წელს მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს მუზეუმების ფონდებსა და კერძო კოლექციებში დაცულ გერმანელი მსატვრების ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებებზე. განსარციელდა ნამუშევრების ფოტოფიქსაცია და ზოგიერთი უცნობი ავტორის ნაწარმოების იდენტიფიკაცია. მომზადდა 12 მსატვრის (ა. კლიუნდერი, ი. ფრიდრიცი, ვენიგერი, პ. ფონ ფრანკენი, ბერგენი, პ. ფრანკენი, თ. პორშელტი, გ. ტილკე, რ. კ. ზომერი, ო. შმერლინგი, ა. ზალცმანი, ბ. ფოგელი) 102 ნაწარმოების პასპორტი.

• **1950-იანი წლების ქართული ფერწერა (ლ. ანთელავა)**

XX ს-ის 50-იანი წლების ბოლო აღინიშნა მსატვართა მთელი პლეადის ე.წ. ორმოცდაათიანელთა გამოჩენით, რომლებმაც მიიპყრეს კრიტიკოსთა და ხელოვნებისმცოდნეთა ყურადღება. მათ რიგებშია არაერთი მსატვარი, რომელიც საგანგებო შესწავლის საგანი გახდა; ზოგიერთ მათგანზე არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევები. ჩვენს სწრაფცვლად სამყაროში გასული საუკუნის ნებისმიერი მოვლენა გადააზრებას ექვემდებარება იმიტომაც, რომ დღევანდელობა სრულიად განსხვავებული კულტურული რეალობაა. „ორმოცდაათიანელთა“ შემოქმედების ხელახალი შესწავლა,

ჩვენი არც თუ შორეული წარსულის ახალი ხედვით გააზრება სხვაგარად დაგვანახებს იმ ეპოქას, რომელზედაც დღეს მყარად ჩამოყალიბებული (და პოლიტიკურად ანგაუირებული) სტერეოტიპი არსებობს. ნარკვევში – „ორმოცდაათიანელები“ – ეს კულტურული მოვლენა განიხილება როგორც ფენომენი.

- **1940-1950-იანი წლების ქართული ფერწერა (ს. ლეჟავა)**

ნაშრომში მიმოხილულია 1950-60-იანი წლების ქართული დაზგური ფერწერის წამყვანი მხატვრების შემოქმედება (ზ. ნიუარაძე, ჯ. ხუნდაძე, ა. ბაძელაძე, თ. მირზაშვილი, გ. ქუთათელაძე, ა. ვარაზი და სხვათა). გარდა კონკრეტული მხატვრების შემოქმედებისა განხილულია ამ ეპოქის ზოგადი პრობლემატიკა სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ, ისტორიულ და ესთეტიკურ ასპექტში. სათანადო ყურადღება ეთმობა ერთ მხრივ, ტრადიციასთან მიმართებას, (როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო მასშტაბით) და მეორე მხრივ, კონტექსტს XX ს-ის მონაპოვრებთან მიმართებით, რაც კვლევის ახლანდელ ეტაპზე აქტუალურია.

- **ქართული მოდერნიზმის თეორიული საფუძვლები (1910-იანი წლები), (თ. ტაბატაძე)**

1910-1930-იანი წწ-ის ქართული მოდერნიზმის მსოფლმხედველობრივი ორიენტირების განსაზღვრა თუ ახალი ფორმალურ-ენობრივი სისტემის ძიება XX საუკუნის დასაწყისშივე საკმაოდ ინტენსიური ინტელექტუალური პროცესი იყო. მაგრამ დღეისათვის ეს თანადროული თეორიული ტექსტები ნაკლებადაა გამოვლენილი და შესწავლილი. არადა, ქართული მოდერნიზმის რაგვარობის განსაზღვრა შეუძლებელია მხატვრების, ლიტერატორების, მწერლებისა და პოეტების თეორიული ნააზრევის ანალიზის გარეშე. ამ მიზნით ნაშრომში განხილულია XX ს-ის დასაწყისის ყველა მნიშვნელოვანი სახელოვნებო გამოცემა (ჟურნალები: „ცისფერი ყანწები“, „თეატრი და მუსიკა“, „ხელოვნება“, „თოლაბულისის სარტყელი“, „მეოცნებე ნიამორები“, „შვიდი მნათობი“, „მნათობი“, „ლეილა“, „გალაკტიონ ტაბიდის ჟურნალი“, ARS, ფენიкс, კურანტი, ორიონ, გაზეთები: 41<sup>o</sup>, ჩივის დენი, ფიგარო, ბარრიკადი, საქართველო). ტექსტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ქართული მოდერნიზმის ძირითადი თეორიული მიმართებები და მსოფლმხედველობრივი ორიენტირები.

- **ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შეგნა ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების საკითხებზე - პერიოდული გამოცემების მიხედვით /თემა გარდამავალი/ ნ. ჭინჭარაული**

2010 წელს შედგენილ იქნა ჟურნალის „ხელოვნება“ 1935 წლის და ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნება“ 1936-1941 და 1954-1961 წლების გამოცემებში სახვითი ხელოვნების შესახებ სტატიების სრული ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიას დართული აქვს დარგობრივი საძიებელი.

## 1.10. ახალი არქიტექტურის განვითარების ისტორია

### • XIX ს-ის ქართული არქიტექტურა (მ. მანია)

კვლევა ჩატარდა თბილისის უძველესი უბნის სეიდაბადის (საკუთრივ თბილისის) ერთ მონაკვეთში, რომელიც მდებარეობს საკუთრივ თბილისის შუაგულში, დღევანდელი იოსებ გრიშაშვილის ქუჩის დასავლეთით და შემოფარგლულია ერთმანეთის მიმართ მეტ-ნაკლებად პარალელურად მდებარე ხუციშვილის (ყოფილი ცურტაველის) ქუჩითა და თელეთის I შესახვევით. შესრულდა საველე სამუშაო (ფოტოფიქსაცია, ცალკეული შენობების აღწერა).

### • საქართველოს XIX ს-ის მიწურულისა და XX საუკუნის 1920-იან წლების არქიტექტურა /თემა გარდამავალია/ (თ. გერსამია)

მიმდინარე წელს დამუშავდა თემასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურა და ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ცენტრალური ისტორიული არქივის ბიბლიოთეკაში დაცული XIX-XX სს-ის პრესა, სადაც მოპოვებულ იქნა ცნობები იმ ნაგებობათა მშენებლობის შესახებ, რომლებიც კვლევისთვისაა საინტერესო. დამუშავდა ცენტრალური ისტორიული არქივისა და თბილისის საქალაქო არქივის ფონდებში დაცული გრაფიკული მასალაც (შენობათა პროექტები). კვლევის შედეგად შერჩეულია იმ პერიოდის ყველაზე დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობათა ნიმუშები. მოპოვებულია მათი თავდაპირველი პროექტები.

### • ქართული არქიტექტურა 1930-1950-იან წლებში (ლ. ანდრონიკაშვილი)

ნაშრომი ეხება ქართული არქიტექტურის განვითარებას XX ს-ის 30-50-იან წლებში. ეს პერიოდი ცნობილია როგორც საქართველოში საბჭოთა არქიტექტურის დამკვიდრების ხანა. მკაცრი იდეოლოგიური ჩარჩოებისა და პიროვნული შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვის მიუხედავად, იმ დროის არქიტექტურა გამოირჩევა სტილის მკაფიოებით და უდავო ხარისხით. ამის ნიმუშია საქართველოში მოღვაწე ქართველი და უცხოელი ავტორების შემოქმედება (სევერვი, შჩუსევი, კალგინი, ტერმელიქვი, ქურდიანები, მელია და სხვა). ნაშრომში შეფასებულია თვითონეული არქიტექტორის მოღვაწეობა და არატრაფარეტული, ობიექტური სახითაა წარმოდგენილი მათი შემოქმედება.

## 1.11. ქართული სცენოგრაფია

### • XIX-XX საუკუნეთა მიჯნის თეატრის მხატვრობა (ე. თუმანიშვილი)

XIX-XX სს. მიჯნის ქართული სათეატრო მხატვრობის შესწავლისათვის უაღრესად საინტერესოა იმის გარკვევა, რას წარმოადგენდა იმხანად

ქართული სასცენო ხელოვნება, კერძოდ, სათეატრო მხატვრობა და რა გზით განვითარდა იგი იმ ფონზე, როცა XX ს-ის დამდეგს ქართულ სცენაზე მოღვაწეობდნენ მოსკოვის სამხატვრო ოეატრის სკოლაგამოვლილი ა. წუწუნავა, ამ თეატრის პრინციპების მიმდევრები კ. ანდრონიკაშვილი, მ. ქორელი და სხვ. რა შეითვისა და როგორ “გადაამუშავა” ეს ახალი თავის ყაიდაზე ქართულმა სცენამ. ამის გარკვევის საშუალებას იძლევა აღნიშნული პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მასალა, რისთვისაც დამუშავდა XIX ს-ის 90-იანი წლებისა და XX ს-ის 10-20-იანი წლების პერიოდიკა.

#### • კონსტრუქტივიზმი ქართულ თეატრში (თ. ბელაშვილი)

ქართულ სცენოგრაფიაში, მართალია, ძნელია კონსტრუქტივიზმის, როგორც ცალკე მიმდინარეობის გამოკვეთა, თუმცა მან მაინც პპოვა ხორციშესხმა თეატრის მხატვრობაში. საქ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში მოძიებულ იქნა კონსტრუქტივისტულ სტილში შესრულებული დეკორაციებისა და კოსტუმების თეატრალური ესკიზები. შესწავლილ იქნა მარჯანიშვილის, რუსთაველისა და მოზარდმაყურებელთა თეატრების მუზეუმებში დაცული მასალაც. ესკიზებთან ერთად დამუშავდა დოკუმენტური მასალა და XX ს-ის 20-30-იანი წლების პერიოდიკა.

#### • ქართული თეატრის მხატვრობის წამყვანი ხელოვანები (მ. ოკლეი)

ნაშრომში წარმოდგენილია ქართული სცენოგრაფიის განვითარების პროცესი XX საუკუნის მანძილზე. გამოკვეთილია, რომ იგი მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ყოველთვის იდგა ქართული ხელოვნების ავანგარდში. ქვეყნისათვის ყველაზე რთულ პერიოდში თეატრი მხატვრისათვის ხდება თავისებური „ნიშა“, სადაც მას შეეძლო თავისუფლად გამოევლინა თავისი დამოკიდებულება ხელოვნებისადმი; თეატრალური სივრცე გახდა დახურული „ლაბორატორია“, თავშესაფარი თამამი ექსპერიმენტებისათვის. ქართული სცენოგრაფია გამოირჩევა ფორმის და შინაარსის დიდი მრავალფეროვნებით. ის ეტაპობრივად ახორციელებდა მსოფლიო სცენოგრაფიაში არსებულ მხატვრულ ტენდენციების დამკვიდრებას ქართულ სცენაზე და ანვითარებდა მას თავისი თეატრალური „ესთეტიკის“ გაგების შესაბამისად.

### 1.12. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგია

#### • მცხეთის ურბანული მემკვიდრეობის ადრეული ნიმუშების გამოვლენა და შესწავლა (მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩეუნაშვილი)

